მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, უ.შარტავას №42-ში, მომმართა მოქ. **თამარ კვიჟინაძემ** რომელმაც განაცხადა, რომ სურს თანხმობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მოქ: **თამარ კვიჟინაძემ** (დაბ. 10.01.1960წ. პ/№01008030498, გაცხ.. მის: **ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძეს ქუჩა, N 66, ბინა 51**) მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე თანხმობის შინაარსი, რომელიც წავიკითხე და განვუმარტე მას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი თანხმობას.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ერთობლივ საქმიანობის ამხანაგობა “ ვარკეთილი 2006”-ის თავჯდომარე თამარ კვიჟინაძე თანახმა ვარ დავით იარალიშვილმა (პ/ნ 34001003645) განათავსოს სარეკლამო აბრა უძრავი ქონებაზე მდებარე მისამართზე ქალაქი თბილისი ქუჩა კალოუბნის, კორპუსი №4, (იგივე მესამე მასივი, კვარტალი VII, კორპუსი 4) “ა” ბლოკის სადარბაზოს თავზე **რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.**

გადახდილია სახელფასო ორ ეგზემპლარზე ორი ხელმოწერისთვის 4.00 (ოთხი) ლარი, დღგ 0.72 (ნული მთელი სამოცდათორმეტი მეასედი) ლარი, სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2,00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011 წ. №507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელფასისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ”) 31-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

ხელმოწერა: ---------თამარ კვიჟინაძე---------

ნოტარიუსი ირმა შარვაძე: ----------

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171353924
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.11.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	24251184212717

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ხელშეკრულება
ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა
"ვარკეთილი 2006"-ის დაფუძნების შესახებ

ორიათას ექვსი წლის თვრამეტი ოქტომბერი

18/10/2006 წ.

ნოტარიუსი ირმა შარვაძე
თბილისი, ჯავახეთის ქუჩის მარცხენა მხარეს
კალოუბნის ქუჩამდე №13.

2006 წ.

რეესტრში რეგისტრირებულ უნდა იქნეს ერთიანი საქმიანობის ამხანაგობა „ვარკეთილი 2006“-ის სახელზე.
საცხოვრებელი სახლის ექსპლოატაციაში მიღებისა და საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ ბინის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებული იქნება საცხოვრებელი სახლი, იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში, რომელშიც თითოული ბინის მესაკუთრის წილი განისაზღვრება მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად.

მუხლი 6. ამხანაგობის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

1. დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის საქმიანობას უხელმძღვანელებს ამხანაგობის თავმჯდომარე.
2. ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს შპს „ჰორიზონტის“ წარმომადგენელი თამარ კვიჟინაძე, რომელიც მოქმედებს შპს „ჰორიზონტის“ დირექტორის მიერ 2006 წლის 18 ოქტომბერს გაცემული მინდობილობის საფუძველზე.
3. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობის სახელით ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში და უფლებამოსილია მათ განკარგვაზე.
4. ამხანაგობის თავმჯდომარე ხელს აწერს ამხანაგობის სახელით დადებულ ნებისმიერ გარიგებას.
5. ამხანაგობის თავმჯდომარის ფუნქციებია:
   ა) ამხანაგობის მიმდინარე საქმეების მართვა და ხელმძღვანელობა;
   ბ) მშენებლობის პროცესის ორგანიზაციულ-ფინანსური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა;
   გ) ურთიერთობის წარმართვა მესამე პირებთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად;
   დ) ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ;
   ე) სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ამხანაგობის ყოველდღიურ საქმიანობასთან.
6. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებასა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე.
7. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით უხელმძღვანელოს ამხანაგობის საქმიანობას.
8. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას და ნებისმიერ დოკუმენტზე ხელმოწერისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.
9. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებაც მან წერილობით უნდა აცნობოს ამხანაგობის სხვა წევრებს.

მუხლი 7. ბინების განაწილების წესი

1. ამხანაგობის დამფუძნებლები მათ მიერ განხორციელებული შენატანების საკომპენსაციოდ ამხანაგობის მიერ ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში ბინების სახით მიიღებენ:
   - **თეიმურაზ ნათენაძე** - 48 (ორმოცდარვა) კვ.მ. საერთო ფართს, რომელიც მას ჩაბარდება შემდეგი ტექნიკური მონაცემებით: შიდა ტიხრებით (გაჯით გალესილი), მოჭიმული იატაკით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრით, რკინის კარებით, მოხმარების ადგილამდე მიყვანილი